



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

ღამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

იანვარი
ტექსტი
№1 (424)
(5777)
2017

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה

9 და 10 იანვარს საქართველოში გაიმართა ისრაელის პრეზიდენტის რუვენ რივლინის ოფიციალური ვიზიტი

**საქართველოს
პრეზიდენტის
სასახლში
ისრაელის
სახელმწიფოს
პრეზიდენტის
დახვედრის
ოფიციალური
ცერემონია
გაიმართა**



ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტის რუვენ რივლინისა და პირველი ლედის ნეჰამა რივლინის ორდლიანი, ოფიციალური ვიზიტი საქართველოში პრეზიდენტის სასახლეში დახვედრის ოფიციალური ცერემონიით დაინდო.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასულე ორკესტრის მიერ საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფო ჰიმნების შესრულების შემდეგ, გიორგი მარგველაშვილმა და რუვენ რივლინმა საქართველოს სახელმწიფო დროშას მიაგეს პატივი.

ნეჰამა რივლინს საქართველოს პირველმა ლედიმ მაკა ჩიჩუამ უმასპინძლა.

ოფიციალური დახვედრის ცერემონიას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი დავით რაქვიაშვილი, პრეზიდენტის მრჩეველები, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და ისრაელის სახელმწიფოს ხელისუფლების წევრები ესწრებოდნენ.

ცერემონიის დასრულებისთანავე ორი ქვეყნის ლიდერები ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ, რის შემდეგაც შეხვედრა გაფართოებულ ფორმატში შედგა.

გიორგი მარგველაშვილი ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტს პირისპირ შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტმა მნუხარება გამოთქვა, იერუსალიმში მომხდარი ტერაქტის გამო და სამძიმარი გამოუცხადა ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტს.

შეხვედრისას ხაზი გაესვა საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტის ვიზიტის მნიშვნელობას, რომელიც საქართველო - ისრაელს შორის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავების, ძლიერი პარტნიორობისა და ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელოვანი დემონსტრირებაა.

მხარეებმა შეხვედრაზე საქართველო-ისრაელის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაზე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე, გლობალური უსაფრთხოებისათვის თანამშრომლობაზე და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე ისაუბრეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიორგი კვირიკაშვილი ისრაელის პრემიერ-მინისტრს რევივ რივლინს უხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიორგი კვირიკაშვილი ისრაელში განხორციელებული ტერორისტული აქტის გამო მწუხარებას გამოთქვამს, - მომხდართან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის მეთაურმა ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტ რევივ რივლინს დღევანდელ შეხვედრაზე მიუსამძიმრა.

„ბატონო პრეზიდენტო, კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება საქართველოში. თქვენი მასპინძლობა ჩვენთვის დიდი პატივია. ნება მომეცით, გამოგიცხადოთ სამძიმარი, ისრაელში ახლახან მომხდარ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით, რომლის შედეგად ოთხი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა, 10-ზე მეტი კი - დაშავდა. ეს არის კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული აქტი და საქართველო, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თქვენს გვერდით დგას. ჩვენ შოკირებული ვართ ამ შემადრწუნებელი, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული აქტით. ტერორისტების მიზანია, შეცვალონ ქვეყნის განვითარების დღის წესრიგი და ჩვენ ამ პროცესში ერთად უნდა ვიდეგეთ“, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.



ისრაელის პრეზიდენტმა საქართველოს მთავრობის მეთაურს თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა.

„ჩვენ, მომხდარი ტერორისტული აქტის გამო, განვიხილავდით შესაძლებლობას, გადაგვედო საქართველოში ვიზიტი, თუმცა ვთქვით, რომ ტერორისტები ვერ გავაჩერებენ. ასე, რომ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, დღეს თქვენთან ყოფნა ჩვენთვის დიდი პატივია“, - განაცხადა რევივ რივლინმა.

საუბრისას, ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა სფეროში წარმატებულ თანამშრომლობას. მხარეებმა აღნიშნეს, რომ 2017 წელს საქართველო-ისრაელის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან 25 წელი სრულდება და იმედი გამოთქვეს, რომ ეს იქნება კიდევ ერთი კარგი შესაძლებლობა, ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისთვის.

შეხვედრისას, ყურადღება დაეთმო ორმხრივი თანამშრომლობის არსებულ მექანიზმებს, რომლებიც წარმატებით ვითარდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ისრაელის პრეზიდენტმა ასევე ისაუბრეს ეკონომიკური თანამშრომლობის მიმართულებით არსებულ პროგრესზე, ვაჭრობის დინამიკაზე, ისრაელის კომპანიების მხრიდან საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებსა და ვიზიტორების ზრდაზე. მხარეების შეფასებით, ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში დასახული ერთობლივი მიზნების მისაღწევად, ეფექტური მექანიზმი ორი ქვეყნის მთავრობათა შორის ეკონომიკური კომისია, რომლის მეორე სხდომა, თარიღების შეჯერების შემდეგ, თბილისში გაიმართება.

შეხვედრისას, საუბარი კულტურისა და განათლების სფეროში თანამშრომლობასაც შეეხო.

პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა ისრაელის პრეზიდენტს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე დაესწრო.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართული შეხვედრის შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ისრაელის პრეზიდენტს სამუშაო სადილზე უმასპინძლა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ისრაელის პრემიერ-მინისტრს რევივ რივლინს უხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტი, რევივ რივლინი მიიღო, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

პარლამენტის თავმჯდომარემ 8 იანვარს, იერუსალიმში მომხდარი ტერორისტული აქტის გამო მწუხარება გამოთქვა და ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტს ადამიანთა დაღუპვის გამო მიუსამძიმრა. რევივ რივლინმა ირაკლი კობახიძეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევა მიულოცა და წარმატებული საქმიანობა უსურვა.

მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებულ მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობასა და თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებაზე ისაუბრეს. განიხილეს საქართველოსა და ისრაელში არსებული ვითარება, ისაუბრეს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებსა და უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებზეც. რევივ რივლინის განცხადებით, ისრაელის სახელმწიფო მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტმა ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობაზეც ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ ორმხრივი ურთიერთობების გასაღრმავებლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპარლამენტ-თაშორისო მეგობრობის ჯგუფების აქტიური მუშაობა.

მხარეებმა ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, კულტურის, განათლებისა და ტურიზმის სფეროში თანამშრომლობაზეც იმსჯელეს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მედიასთან კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ ისრაელის სახელმწიფოსთან თანამშრომლობის გაღრმავებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო.



„დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ისრაელის პრეზიდენტს საქართველოში ვიზიტისთვის, ჩვენთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ისრაელის სახელმწიფოსთან ურთიერთობების გაღრმავება. ორი კვირის წინ დაახლოებით ასევე შედგა ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი, სადაც მონაწილეობდნენ პარლამენტის მაღალი რანგის წარმომადგენლები, რამდენიმე ვიცე-სპიკერი იყო ჩამოსული საქართველოში და ჩვენ კონკრეტული ნაბიჯები დავგვემეთ ჩვენი თანამშრომლობის გაღრმავების. ამ მიმართულებას ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, არ-

ჩილ თალაკვაძის თქმით, რევივ რივლინის ვიზიტი ისრაელის სახელმწიფოსთან მომავალი თანამშრომლობის შესახებ მნიშვნელოვანი სიგნალი იყო.

„ეს იყო ძალიან მაღალი დონის ვიზიტი და სიგნალი ისრაელის სახელმწიფოს მხრიდან მომავალი თანამშრომლობის შესახებ. ჩვენ ისრაელთან გვაკავშირებს დიდი ხნის თანამშრომლობის და მეგობრობის ისტორია და ბუნებრივია, ჩვენი მომავალი თანამშრომლობა, ურთიერთობების გაღრმავება არაერთ სტრატეგიულ სფეროში, ეფუძნება სწორედ ამ სტრატეგიას და ამ გამოცდილებას. რაც შეეხება, სფეროებს, სადაც ჩვენ ვთანამშრომლობთ, კარგად მოგვხსენებთ, რომ ეკონომიკური განვითარებისთვის და იმ გაცხადებული პრიორიტეტებისთვის, რაც აქვს საქართველოს მთავრობას დღეს, მნიშვნელოვანია სწორედ ისეთი სახელმწიფოს მხარდაჭერა, როგორც არის ისრაელი - ეს არის ეკონომიკური ინიციატივები, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის და სოციალური სფეროები, ეს არის საქართველოს როლი საერთაშორისო თანამეგობრობაში და მისი იმედი, სადაც ჩვენ გვაქვს გადაკვეთის წერტილები და თანამშრომლობის წარმატებული გამოცდილება ისრაელთან“, - განაცხადა უმრავლესობის თავმჯდომარის მოადგილე, სერგი კაპანაძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო ქაცარავა ესწრებოდნენ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, არ-

ისრაელის პრეზიდენტი თბილისის დიდ სალოცავში



რუვენ რივლინი ისრაელის მეორე პრეზიდენტია მოშე კაცავის შემდეგ, რომელიც ორ სახელმწიფოს — ისრაელის და საქართველოს ოცდახუთწლიანი ურთიერთობის მანძილზე პირველად ეწვია საქართველოს. ათ იანვარს იგი მეუღლესთან ერთად ეწვია თბილისის დიდ სალოცავს. სალოცავში მას დახვდა ხალხმრავალი საზოგადოება, საპატიო სტუმრები, თბილისის ებრაული თემის წევრები, რეგიონებიდან ჩამოსული ებრაული თემის წარმომადგენლები და თბილისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები. ისრაელის პრეზიდენტის დახვედრა მოხდა მხურვალე აპლოდისმენტების ქვეშ. შეხვედრა სიმღერით გახსნეს „ორ ავენერის“ სკოლის აღსაზღველებმა. პრეზიდენტს თავის მეუღლესთან ერთად სალოცავის რაბინები (რაბანი მურდუხაშვილი, მეირ კოზლოვსკი, ბენციონ ისრაელაშვილი) შეეგებნენ პურის ხალით და ქაშერი ღვინით. ამის შემდეგ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს სალოცავის გაბაიმ მერაბ ჩანჩალაშვილმა, საქართველოში ისრაელის სრულუფლებიანმა ელჩმა შაბთაი ცურმა და ისრაელის პრეზიდენტმა რუვენ რივლინმა. ისრაელის პრეზიდენტმა თავის სიტყვაში დაგმო მსოფლიო ტერორიზმი. პატივი მიაგო იერუსალიმში განხორციელებული ტერაქტის დროს დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნას, გაიხსენა საქართველოს თვრამეტი ქართველი ებრაელის ოჯახი, რომლებმაც გასული საუკუნის სამოციანი წლებში გადაიტანეს ყველა სიძნელეები იმისთვის, რომ გახსნილყო გზა საქართველოდან ისრაელისკენ. ასევე მან აღნიშნა ორი ქვეყნის — ისრაელის და საქართველოს მეგობრული ურთიერთობები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საგანმანათლებლო სფეროებში. შეხვედრა ჩატარდა თბილ და მეგობრულ გარემოში. დამთავრდა შეხვედრა მხურვალე აპლოდისმენტებით. „ორ ავენერის“ სკოლის აღსაზღველებმა მიერ შესრულებული სიმღერით. თბილისის დიდ სალოცავის შეხვედრის შემდეგ ისრაელის პრეზიდენტმა დაასრულა თავისი ვიზიტი საქართველოში.

თამარ შავოშვილი

მოგესალმებით, ბატონო პრეზიდენტო!

კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა საქართველოში. დიდ ბოდიშ ვიხდი თქვენს წინაშე ივრითულად რომ ვერ გესაუბრებით. ეს იმის გამო, რომ მაშინ როდესაც თორა და ივრითული უნდა მესწავლა ჩემი მეღამედები და რაბები გამომწყვდეული ჰყავდათ საპატიმროს წყლით სავსე საკნებში. მაღლობა ღმერთს — ებრაელ ერს უფრო დიდი განსაცდელისთვის გაუძლია. დღეს სხვა რეალობაა და ჩვენ საქართველოს ებრაელებს, სულ სხვა პირობებში გვიხდება ცხოვრება — თუნდაც ის, რომ ისრაელის ელჩი საქართველოში შაბთაი ცური ქართულად მოსაუბრეა, ეს დიდად გვიადვილებს კონტაქტს. ბატონი ელჩი მხარში უდგას ჩვენს თემს ჭირში თუ ლხინში. ამისათვის თქვენი და ისრაელის მთავრობის მაღლობელი ვართ. მართალია ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ, მაგრამ ყოველი წარმატება ისრაელის სახელმწიფოს ჩვენთვის ისეთივე სასიხარულოა, როგორც ისრაელში მცხოვრებთათვის — ასევე დიდი გულისტკივილით განვიცდით ისრაელის სახელმწიფოს მტკივნეულ საკითხებს. მე სხვისი მაგალითებით არ ვისარგებლებ. ჩემსას მოგახსენებთ, ჩემმა შვილიშვილებმა --მიძელმა და ციპი ნაფტალეებმა სამხედრო სამსახური ისრაელის არმიაში გაიარეს წარმატებით, ასევე წარმატებით სამხედრო სამსახურის შემდეგ ისწავლეს უმაღლეს სასწავლებელში და ამჟამად პატიოსანი შრომით ხელს უწყობენ ისრაელის სახელმწიფოს ძლიერებას.

მინდა ძალიან მოკლედ რამდენიმე ეპიზოდით მოგახსენოთ ქართველ და ებრაელთა ურთიერთობაზე: ჩვენი ორი ერის ურთიერთობაში ისეთი ეპიზოდები მოიძებნება, რომელიც

აღნიშვნის ღირსია.

რამდენიმე წლის წინათ საქართველოში უჩვეულოდ დიდი თოვლი მოვიდა — სოფელ ადგილებში, სადაც ელექტრო ნისქვილები არ იყო — წყლის ნისქვილები გაიყინა და უმოქმედო გახდა. ამან კი შიმშილის საფრთხე შექმნა. მოსახლეობაში რომ შიმშილით ცუდი რამ არ მომხდარიყო ებრაელმა პურის საცხობის მეპატრონემ თავის სოფლის ქართველ მოსახლეობას გამოუცხადა, რომ მის საცხობში შეზღუდვის გარეშე შეეძლოთ როგორც ფქვილის, ასევე გამომცხვარი პურის მიღება თუ მათ ამჯერად არ შეეძლოთ ღირებულების გადახდა ეს დაბრკოლებას არ წარმოადგენდა შემდგომში გადაიხდიდნენ. ასეთი სიკეთე ხალხის მეხსიერებაში რჩება და ილექება. შეიძლება ამის გამოძახილიც კი იყო საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედება. მან ხომ თავისი მატერიალური სახსრებით შეაკეთა და სიცოცხლის სული შთაბერა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ სინაგოგებს. ვინ დათვლის რამდენი ქართველი ებრაელის მაღლიერება და სიყვარული დაიმსახურა ბატონმა ბიძინამ ებრაელებისადმი ასეთი უანგარო სიკეთისთვის. აქ მაგონდება მეგილათ ესთერისგან ერთი ეპიზოდი — მეფე ასაშვერომმა რომ იკითხა — რა საჩუქარი მიიღო მორდებანიმ მეფის წინაშე შეთქმულების გამოაშკარავებისათვის. ანალოგიურად მინდა ჩემი მოსაზრება იქნებოდა, რომ დირსეულად დავაფასოთ ბატონ ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედება — კერძოდ მე მას მივინვევდი ისრაელში — წარუდგენდი იქ მცხოვრებ ქართველ ებრაელებს ვაჩვენებდი როგორ სიბოძოს, სიყვარულს და მაღლიერე-



ბას გამოთქვამდნენ ისინი ბატონ ბიძინას მიმართ.

ბატონო პრეზიდენტო — მერნმუნეთ ბიძინა ივანიშვილს მე არ ვიცნობ, არასდროს არ შეხვედრივარ. მის მიმართ უბრალოდ კეთილგანწყობა გამაჩნია და ეს მამოძრავებს. მართალია ისტორია ყველაფერს გაარკვევს და თავის ადგილს მიუჩენს, მაგრამ ხომ შეიძლება თავისივე სიცოცხლეშივე მიიღოს მისივე ნამოქმედარის სიკეთე — საუბარი მაქვს ბიძინა ივანიშვილზე — ბატონო პრეზიდენტო მერნმუნეთ მისი ისრაელში მიწვევა არც მე არ მჭირდება და არც თქვენ — ჩვენს მომავალ თაობებს კი ნაადგება — ვიფიქროთ ჩვენს მომავლებზე. ასე ვფიქრობდი მაშინ, როდესაც აფხაზეთიდან ლტოლვილებს მთელმა ჩვენმა ჯამაათმა მეგობრული ხელი რომ გაუნოდა იმ გაჭირვების ჟამს (ჭუბერის ხეობიდან მათ გამოსვლაზეა საუბარი) —

ამისი მომსწრე და მოწმეები დღესაც არიან — ასეთი ჩანაფიქრი გვექონდა სამების ეკლესიის მშენებლობაში ერთი აგურიც ჩვენ რომ დავდეთ. ალბათ ასე ფიქრობდნენ საბა კლდიაშვილი და გრიგოლ ფერაძე, როდესაც ებრაელების გადასარჩენად საკუთარი სიცოცხლე გასწირეს. ასე, რომ ბევრი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია ჩვენი ორი ერის თანაცხოვრებიდან.

დასასრულს, კიდევ ერთხელ მინდა მოგესალმობთ და გისურვოთ ყოველივე კარგი, როგორც სახელმწიფოს მოღვაწეობაში, ასევე პირად ცხოვრებაში.

პატივისცემით იოსებ (სოსო) აჯიაშვილი
თბილისი, 09.01.2017 წელი



პირადი აზრი

მე მიყვარს ისრაელის პრეზიდენტი, მისი ღირსების და ობიექტურობის გამო, ამიტომაც თავს უფლებას ვაძლევ, შევუსწორო ტექსტი: "ქართველ ებრაელთა სათვისტომო აქ და ისრაელში წარმოადგენს ხიდს ჩვენს ქვეყნებს შორის..." - ესაა მცდარი გამოთქმა, რომელსაც "ძლივს" ჩამოყალიბებულ პირდაპირი კავშირების გამო, საქართველოს მთავრობაც არ იყენებს. ხიდს საქართველო-ისრაელს შორის კი, წარმოადგენს საქმიანი აქტივობები და ისრაელიდან ჩამოსული ასობით ათასი ტურისტი, ვინაიდან ე.წ. ქართველ ებრაელთა სათვისტომო დროებითია და მისი მიმართულება, სხვა დიასპორების მსგავსად, უნდა იყოს ისრაელში დაბრუნება და ისრაელში მანამ იარსებებს ტერმინი "ქართველ ებრაელთა სათვისტომო", ნიშნავს არაბ-სორბიციურებულ საზოგადოებას, რომელიც ვერ შეძლებს ხიდის ფუნქციის შესრულებას - განსაკუთრებით მისი აქტივისტების წყალობით.

იციკ მოში

ხილიკ ბარი: ჩვენ ვესაუბრებით მათ, ვინც ამბობს თქვენთან ერთად და არა თქვენს ნაცვლად

25 დეკემბერს თბილისში, სასტუმრო ბილტმორის საკონფერენციო დარბაზში, "ისრაელის სახლის" ორგანიზებითა და ისრაელის ოფიციალური დელეგაციის მონაწილეობით, გაიმართა ისრაელისადმი საერთაშორისო მხარდაჭერის - ჰასბარას პირველი ფორუმი.

ლონისძიებმა, რომელსაც ესწრებოდნენ ქნესეთის ვიცე-სპიკერები ხილიკ ბარი და ტალი პლოსკოვ, ქნესეთის მმართველი კოალიციის ხელმძღვანელი დავიდ ბიტანი, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ციპი ხოტოველი, ისრაელის წამყვანი ტელეკომპანიების წარმომადგენლები, ბიზნესმენები, აგრეთვე, ევროპაში ისრაელის მხარდაჭერი ორგანიზაციების ლიდერები, ქართველი პოლიტოლოგები, ექსპერტები და სტუდენტები, „ბასტი ბუბუს“ ანსამბლის შესრულებით ცნობილი სიმღერით „ოქროს იერუსალიმით“ გაიხსნა.

ფორუმს „ისრაელის სახლის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, იციკ მოში უძღვებოდა. მისი თქმით, არსებული გამოწვევების ფონზე, ისრაელისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ასპარეზზე დიპლომატიური მხარდაჭერა და ჰასბარა - ისრაელის სწორად წარმოდგენა ქვეყნის გარეთ, მისი ოფიციალური პოლიტიკის განმარტება და მეგობარ ქვეყნებთან კავშირების კიდევ უფრო გაღრმავება.

ლონისძიებაზე ისრაელის სამშვიდობო და სამეზობლო პოლიტიკის შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ციპი ხოტოველი და ქნესეთის ვიცე-სპიკერი ხილიკ ბარი.

ციპი ხოტოველმა ყურადღება გაამახვილა იმ რთულ გარემოზე, რომელშიც ჩამოყალიბდა და განვითარდა ისრაელის ახალი სახელმწიფო.

„ისრაელი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პატარა ქვეყანაა, მაგრამ მერვე ადგილს იკავებს ყველაზე გავლენიან სახელმწიფოებს შორის. მან განვითარების საკუთარი, გამოგნებული გზა აირჩია. ამის პირველი დამადასტურებელი ფაქტი იყო, ისრაელის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება შუა ომში, მაშინ როდესაც ყველასხვა ქვეყანაომის დასრულების მერე აცხადებს დამოუკიდებლობას, ისრაელმა როცა ქუჩებში საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა,

ხელი მოეწერა დამოუკიდებლობის აქტს. მეორე გამოგნებული ქმედება ის იყო, რომ ბენ გურიონმა მიიღო გადაწყვეტილება, მიუხედავად ომისა, ყველა სამთავრობო ოფისი გადაეტანა იერუსალიმში. ეს მოხდა 1949 წელს. ზუსტად ხანუქის დღეს. მიუხედავად იმისა რომ ჩვენს მთავარ მოკავშირეს აშშ-საც კი წარმოუდგენლად მიაჩნდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა. მესამე გამოგნებული ფაქტი ის იყო, რომ ისრაელმა დამოუკიდებლად, სტრატეგიული პარტნიორის - აშშ-ს დაუხმარებლად, შეძლო ერაყის ატომური რეაქტორის განადგურება, რომელიც იყო ერთ-ერთი მთავარი საფრთხე ქვეყნისთვის“, — განაცხადა ხოტოველმა.

მისივე თქმით, მთელი მსოფლიო დღეს ხვდება, რომ ტერორიზმი მხოლოდ ისრაელის კი არა, გლობალური პრობლემაა, თუმცა უცნაურია, რომ საერთაშორისო საზოგადოება, ერთი მხრივ, ისრაელის ხელისუფლებისგან ითხოვს მის მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვას და, მეორე მხრივ, ადანაშაულებს ძალის გადაჭარბებაში. პრემიერი ნეთანი-აჰუ პირველი იყო, ვინც მოითხოვა ანტიტერორისტული კოალიციის შექმნა, მაგრამ ამ ინიციატივას მხარდაჭერა არ მოჰყოლია.

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ პალესტინელების დაბრუნებასთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს იქნება ისრაელის აღსასრული, რადგან არაბები ამას ისრაელის დათმობის სანაცვლოდ ითხოვენ.

ციპი ხოტოველმა ყურადღება გაამახვილა ისრაელის წინააღმდეგ წარმოებული საერთაშორისო კამპანიის - BDS (The Boycott, Divestment, Sanctions) მიმდინარეობაზე და აღნიშნა, რომ მან ვერ გამოიღო ისრაელის მონინალმდეგებისთვის სასურველი შედეგი, ვინაიდან ამ კამპანიის მიუხედავად, ისრაელმა რამ-



დენჯერმე გაზარდა ექსპორტი.

ფორუმზე ქნესეთის ვიცე-სპიკერმა ხილიკ ბარმა ისაუბრა ისრაელის მემარცხენე ძალების სამშვიდობო პოლიტიკაზე და აღნიშნა, რომ ისინი ისრაელთან მოწინააღმდეგე ძალებს ორ კატეგორიად ყოფენ:

ერთნი, რომლებიც მხარს უჭერენ მოლაპარაკებებს, პრინციპს „ორი ხალხი - ორი სახელმწიფო“ ანუ შესაძლებლად განიხილავენ ისრაელთან ერთად მშვიდობიან თანაარსებობას (ისევე როგორც, მაგალითად ეგვიპტე და იორდანია) და მეორენი, რომლებიც ამბობენ, არა თქვენთან ერთად, არამედ თქვენს ნაცვლად, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ახლო აღმოსავლეთში არ დამყარდება მშვიდობა, სანამ არსებობს ისრაელის სახელმწიფო. ისინი ისრაელს ახლო აღმოსავლეთის ცენტრალურ პრობლემად განიხილავენ, თუმცა ბოლოდროინდელი მოვლენები, „არაბული გაზაფხული“ და მისი მარცხი, სირიის კრიზისი და ა.შ. ამ ვარაუდის არარეალისტურობას ადასტურებს.

ხილიკ ბარი იზიარებს მემარჯვენე პოლიტიკურ ძალთა პოზიციას ირანთან დაკავშირებით და აბსოლუტურად მიუღებლად მიიჩნევს ამ ქვეყნისთვის საერთაშორისო სანქციების მოხსნას. ქნესეთის ვიცე-სპიკერის თქმით, მსგავს ვითარებაში იყო მსოფლიო, როდესაც არავის სჯეროდა, რომ ჩრდილოეთ კორეა შექმნიდა ბირთვულ იარაღს, თუმცა მოხდა პირიქით, სწორედ ამიტომ, მისი აზრით, შეუძლებელია მსოფლიო მხოლოდ ირანის კეთილი ნების იმედად, უმოქმედოდ იყოს და მას ატომური იარაღის განვითარების შესაძლებლობა მისცეს.

ახალშენებზე საუბრისას ხილიკ ბარმა განაცხადა: „პალესტინელების მხრიდან ახალშენებზე აპელირება უბრალოდ, დემაგოგიაა. მაგალითად, ლაზას სექტორიდან ისრაელის მოქალაქეების ევაკუაცია განხორციელდა და ახალშენებზე განადგურდა, თუმცა ამას იქ არ მოჰყოლია წინსვლა და განვითარება. ისრაელი, არაბთა გაერთიანებული საამიროები და გალფის ყურის ნავთობით მდიდარი სხვა სახელმწიფო-

ბი ყოველწლიურად მილიარდობით დოლარით ეხმარებიან ლაზას სექტორს, მაგრამ რას ხმარდება აღნიშნული თანხა? არა საავადმყოფოების, სკოლების, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას, არამედ „არჩეული“ ხელმძღვანელობის - „ჰამასის“ მიერ მინისტრებმა ტერორისტული ქალაქის მშენებლობას.

თუმცა, საბედნიეროდ, პალესტინის მოსახლეებს შორისაც არიან მშვიდობის მსურველები, ისევე როგორც პალესტინის ადმინისტრაციაში. ბევრ მათგანს პირად საუბრებში ხშირად განუცხადებია, რომ ისინი ოცნებობენ დღეზე, როდესაც ისრაელის ძალების მხარდამხარ იბძოლებენ ისლამური რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ. ასე რომ, მე მჯერა, მშვიდობა მიღწევადია!“

ხილიკ ბარმა ისაუბრა, აგრეთვე, მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობიან უერთიერობაზე და დასძინა, ისრაელს რომ არ ჰქონოდა კეთილმეზობლური კავშირი ეგვიპტესა და იორდანიასთან, დღეს ის სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდა. მშვიდობის ინიციატორებს არ აქვთ ილუზია, რომ მეზობელი არაბული ქვეყნები იქცევიან ისრაელის მეგობრებად, თუმცა მათ შეუძლიათ იყვნენ ისრაელის პარტნიორები და გაიზიანოს მისი გამოცდილება ტერორიზმთან საბრძოლველად და მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. იმავეს სწავლა შეუძლია ისრაელისაგან დასავლეთს, ევროპის ქვეყნებს, რომლებიც დღეს ტერორიზმის ისეთივე სამიზნეებად იქცნენ, როგორც ისრაელია უკვე მრავალი ათეული წლის მანძილზე.

ხილიკ ბარის აზრით, ევროპული სახელმწიფოების მხრიდან კონფლიქტის მხოლოდ ერთი მხარის, კონკრეტულად კი ისრაელის ქმედებების გამუდმებულმა დაგმობამ უარესი შედეგი გამოიღო. ევროპას თუ კი მშვიდობა სურს, შეუძლია დიდი როლი შეასრულოს ამ საქმეში, მაგალითად, გაუწიოს პროპაგანდა პარტნიორ სახელმწიფოებში, გაყიდოს ის პროდუქცია, რომელიც ინარმოება ისრაელელებისა და პალესტინელების ერთობლივ სანარმოებში, ნაცვლად იმისა, რომ აკრძალოს ებრაული პროდუქციის იმპორტი.

ლონისძიების ბოლოს ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ და ქნესეთის ვიცე სპიკერმა ქართველი ექსპერტებისა და სტუდენტების შეკითხვებს უპასუხეს.



ისრაელი და დიასპორა

მსოფლიოში ებრაელთა რაოდენობამ 14 მილიონ 310 ათას ადამიანს მიაღწია.

პლანეტის ებრაელობის 54% ებრაული სახელმწიფოს — ისრაელის მიღმა ცხოვრობს. ებრაელთა მხოლოდ 46% ცხოვრობს ისტორიულ სამშობლოში.

მსოფლიოს ებრაული მოსახლეობის 98% 17 სახელმწიფოშია თავმოყრილი (ამათ შორისაა ისრაელი) ისრაელის დიასპორის საქმეთა სამინისტროს მონაცემებით აი, რომელ სახელმწიფოებში გახლავთ ებრაელთა მნიშვნელოვანი — მრავალრიცხოვანი მოსახლეობა:

ამერიკის კონტინენტის ქვეყნებს შორის ყველაზე მეტი ებრაელობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს:	5 700 000
კანადა	385 000
მექსიკა	67 000
პანამა	10 000
არგენტინა	230 000
ურუგვაი	17 000
ჩილე	18 000
ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ებრაული თემი საფრანგეთისა გახლავთ —	485 000
დიდი ბრიტანეთი	270 000

ესპანეთი	30 000
შვეიცარია	19 000
იტალია	28 000
გერმანია	100 000
ბელგია	30 000
ჰოლანდია	29 900
შვეიცია	15 000
უნგრეთი	47 000
რუსეთი	186 000
უკრაინა	63 000
ბელორუსი	11 000
თურქეთი	17 000
ავსტრალია	112 000
სამხრეთ აფრიკა	70 000
რასაკვირველია, ეს არ არის ებრაულ თემთა სრული სია — ებრაელები სხვა ქვეყნებშიც ცხოვრობენ — მცირერიცხოვანნი.	
როგორც ისრაელის დიასპორის საქმეთა სამინისტროს გამოკითხვა ადასტურებს, ისრაელელთა დამოკიდებულება დიასპორაში მცხოვრები ებრაელებისადმი არაერთგვაროვანია: ვილაც მიიჩნევენ, რომ ებრაელები დიასპორაში არ უნდა ცხოვრობდნენ და ისტორიულ სამშობლოში უნდა გადავიდნენ, მანამ სანამ ამ ქვეყნებში ანტი-სემიტის იფეთქებს. გამოკითხულთა 79% მი-	

იჩნევენ, რომ ისრაელი პასუხისმგებელია ყოველი ებრაელის ბედზე რომელ სახელმწიფოშიც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი. 21% კი ფიქრობს, რომ ისრაელი არა-რა პასუხისმგებელი არ არის უცხოელი ებრაელების ბედზე. 80% მიიჩნევენ, რომ ისრაელმა ისე უნდა უზრუნველყოს დიასპორაში ებრაელთა ცხოვრება, რომ ისინი დაიცვას ასიმილაციისაგან. 73% მიიჩნევენ, რომ ისრაელმა უნდა დააფინანსოს დიასპორის ებრაული თემების განვითარება და ისრაელთან კავშირი, 70% კი კატეგორიულად უარყოფს დიასპორაში მცხოვრები ებრაელობის უფლებას მონაწილეობდეს ისრაელის არჩევნებსა და რეფერენდუმებში.

დიასპორის ებრაელობის წილი ისრაელის ეკონომიკაში ყოველწლიურად 58 მილიარდი შეკვლით განიზომება. ადრეულ წლებში გაცილებით მეტი იყო იმის გამო, რომ ისრაელის ეკონომიკა სუსტი გახლდათ. ბევრმა არ იცის, რომ სახელმწიფოში შესული ინვესტიციების 4% სწორედ დიასპორის ებრაელობისგანაა, იგივენი უზრუნველყოფენ ტურისმის 27% და ტურისტული ინდუსტრიის შემოსავლის 16%.

და ბოლოს მედიცინის, განათლების და სხვა სფეროებში შემონიშნულებათა ნახევარი სწორედ დიასპორის ებრაელობისაგან მოდის.

ის, რასაც მიხეილ მირილაშვილი აპიეთებს, არა მხოლოდ მას, ჩვენს ქალაქს — პეტერბურგსაც აღიღებს

„დელოვოი პეტერბურგი“ როგორ ირჩევდა საუკეთესო ტოპ-მენეჯერებს


ისრაელის მოსახლეობა 2% გაიზარდა

ისრაელის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით, წინა — 2016 წელს ისრაელის მოსახლეობა 167 ათასი ადამიანით გაიზარდა და 8 მილიონ 62 ათასს მიაღწია. ეს არის 2%-ით მეტი, ვიდრე 2015 წელს იყო.

ბოლო წლების განმავლობაში მოსახლეობის ზრდის ტემპი არ შენელებულა. მოსახლეობის ზრდის 82% მშობიარობის მაღალ მაჩვენებელზე მოდის. ეს ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებს სიკვდილიანობას. მოსახლეობის ზრდის 17% რეპატრიაციით და რეემიგრაციით აიხსნება. რეემიგრაცია გაცილებით მეტია, ვიდრე ისრაელიდან სხვა ქვეყნებში მუდმივ საცხოვრებლად გადასულთა მაჩვენებელი.

2016 წლის განმავლობაში ქვეყანაში დაიბადა 181 ათასი ბავშვი. სადღეისოდ — 2017 წლის დამდეგს — ისრაელში 6,45 მილიონი ებრაელი (საერთო მოსახლეობის 74,8%) ცხოვრობს, არაბი — 1,8 მილიონი (20,8%) სხვა ერების წარმომადგენლები — 384 ათასი (4,4%).

სპეციალისტთა პროგნოზით, ისრაელის მოსახლეობა 2035 წელს 11 მილიონს გადააჭარბებს.



„დელოვოი პეტერბურგი“ სანტ-პეტერბურგის საუკეთესო ტოპ-მენეჯერები ყოველწლიურ ცერემონიაზე „ტოპ-100“ შეკრიბა და მეცამეტედ დააჯილდოვა. დაჯილდოების ცერემონიალი დეკემბრის ბოლოს რესტავრაციის შემდეგ ახლადგახსნილ „მანეჟში“ გაიმართა. ტოპ-მენეჯერები ბევრს საუბრობდნენ იმაზე, თუ როდენ კარგი იყო 2016 წელი, ზოგიერთი იმასაც

კი გაიძახოდა, ძალიან იბლანინი წელიწადი იყო, ხოლო პეტერბურგის ვიცე გუბერნატორმა იგორ ალბინმა ყველაზე მნიშვნელოვან დღედ 26 დეკემბერი მიიჩნია — მშენებლებმა ამ დღეს ჩააბარეს „ზენიტის“ სტადიონი, რომლის რესტავრაცია ესოდენ გაჭიანურდა. ბიზნესმენები ვიცე-გუბერნატორს დაეთანხმნენ.

იმ საღამოს დაჯილდოებულთა შორის გახლდნენ „სტროიტელნი ტრესტის“ გენერალური დირექტორი — ევგენი რეზოვი, „სი-ელ-სი“-ს მმართველი ნატალია მახიტინა, „ლენფილმის“ გენერალური დირექტორი — ედუარდ პიჩუგინი, კომპანია „რიკის“ დამაარსებელი ილია პოპოვი, ВТБ-ის პეტერბურგის ფილიალის მმართველი მიხეილ იოფე, „ბანკ სანკტ-პეტერბურგის“ მმართველი ალექსანდრე საველიცი.


ბაზეთი „დელოვოი პეტერბურგი“ წერს: „რაც შეეხება საღამოს მთავარ ინტრიგას — წლის ტოპ-მენეჯერის დაჯილდოებას, საღამოს ორგანიზატორებმა ცერემონიალის ფინალისათვის შემოინახეს. დაჯილდოების ცერემონიალის ჩასატარებლად სანკტ-პეტერბურგის საკანონმდებლო კრების სპიკერი ვიჩესლავ მაკაროვი მოიწვიეს. ვიჩესლავ მაკაროვი დიდხანს ლაპარაკობდა იმაზე, თუ როდენ მნიშვნელოვანია ასეთი დაჯილდოებები. ამის შემდეგ ჯილდო გადასცა იმას, ვინც ეს დაიმსახურა — იგი აღმორჩნდა — „პეტრომირის“ კომპანიის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი — მიხეილ მირილაშვილმა პეტერბურგელ მილიარდერთა რეიტინგშიც გაიმარჯვა — აქ მან მეორე ადგილი დაიკავა. „დელოვოი პეტერბურგის“ რედაქტორმა მაქსიმ ვასილუკოვმა განაცხადა, რომ მიხეილ მირილაშვილმა ეს ჯილდო, უწინარესად მაღალ ტექნოლოგიებში განთავსებული ინვესტიციებისათვის მიიღო და დასძინა: — ის, რასაც მიხეილ მირილაშვილი აკეთებს, არა მხოლოდ მას, ჩვენს ქალაქს — პეტერბურგსაც აღიღებს.

სიბრყველე?

რუსეთის სკოლების მე-4-5 კლასების ისტორიის სახელმძღვანელოში შავით თეთრზე წერია, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1250 წელს იერუსალიმი რუსული ქალაქი იყო და ებრაელებმა დაიპყრესო. სიტყვასიტყვით: „1250 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე იუდეველთა მიერ ძველი რუსული ქალაქის „რუსსკაია ოსელია“ (სოფეოდა კიანის მიერ დაარსებული) დაპყრობა და სახელის გადარქმევა. მას იერუსალიმი უწოდეს. სიანგორის დასიონის მთაზე იაპვეს ტაძრის სახელის გადარქმევა.

არა გვერათ, ასეთ სისულელეს ვინ დანერდაო, ფიქრობთ? დანერეს კიდევ და სკოლის სახელმძღვანელოშიც შეიტანეს! დავაკვირდით, წიგნში ეს ტექსტი ფლომასტერითაა შემოხაზული.

იერუსალიმი ჩვენიარ



ესპანეთის მეფის ებრაელთა პრემია

მადრიდში ელ პარდოს სასახლეში მოსკოვის მთავარმა რაბინმა და ევროპის რაბინთა საბჭოს პრეზიდენტმა ფინხას გოლდშმიტმა და რუსეთელმა ბიზნესმენმა ბორის მინცმა 13 დეკემბერს რაბინ იმანუელ იაკობოვიცის პრემია ესპანეთის მეფეს ფილიპე მეექვსეს გადასცეს.

ეს ჯილდო მეფე ფილიპე მეექვსეს მიეკუთვნა იმის გამო, რომ ესპანეთიდან განდევნილ ებრაელთა მთამომავლებს ნება დართო კვლავ გახდნენ ესპანეთის მოქალაქენი.

დიდი ბრიტანეთის მთავარი რაბინის და ევროპის რაბინთა პრეზიდენტის, ლორდ იმანუელ იაკობოვიცის სახელობის პრემია 2012 წელს დაარსდა. ეს პრემია ენიჭებათ იმ სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებმაც ებრაელთა სასიკეთო საქმე ქმნეს. პირველად პრემია მიენიჭა პოლონეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და ევროპარლამენტის პრეზიდენტს ეჯი ბუზეკს, 2013 წელს კი გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს, იმის გამო რომ მან მხარი არ დაუჭირა გერმანიაში ახალი კანონის შემოღებას რომელიც ბრით-მილას კრძალავდა. 2015 წელს კი იაკობოვიცის პრემია საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს — მანუელ ვალსს ანტისემიტობთან ბრძოლის გამო მიენიჭა.

მიხეილ შაფთოშვილი
რ ღ მ ე ნ ა

(თეთრი ღამე თეთრი ლექსისა)



მიხეილ შაფთოშვილი

ებრაელი ვარ
ძე
აბრაამის,
ისააკის...
მოსესი
და
დიდი დავითის...
როცა მაფიქრებს ჩემი ანმყო, ჩემი წარსული
სხეული მითრთის,
გმირი
ვარ მითის!..
რწმენა ვარ - რწმენა ძალაა,
ურწმუნო კაცი უთვისტომოს ჰგავს,
მისთვის წამიც კი ხან მარტია, ხანაც აპრილი
უძღვრებისგან სულ ჩამოსტირის იმას თავპირი...
ერთგულება ვარ - ერთგულება ჩემი რწმენისა,
სისხლხორციელი ჩემი ერისა...
ენა ვერ იტყვის ...
თუ რა გადამხდა, თუ რა მეღირსა!..
დრო ტირანია
ერთი შეხედვით ყოვლისშემძლე, ყოვლის უფალი
კახვა ქალივით
უპირობო და თანაც მუხთალი!..
ჯერ კიდევ მაშინ ... გარიჟრაჟზე
მამა აბრაამმა სამსხვერპლოზე ამიყვანა, შესანიშნავად დანა დამასო...
ღმერთსაც კი
ცრემლი მოერია
ერთგულება და უბედურება ასე ერთმანეთს როგორ
ჰგავსო!? ..
მას ღმერთი სწამდა - ღმერთი ერთი
ცისა, მიწისა და სიცოცხლის გამჩენი ღმერთი
და რაცა სწამდა იმან განირა,
მან მოუწყო დიდი გამოცდა
ისე დაასო ერთადერთ შვილს ყელზე დანა
მას თუნდაც ფიქრით
სამდურავი თავის ბედზე,
არც კი წამოსცდა!.. მას ღმერთი სწამდა
და რაცა სწამდა იმან გასწირა,
რამაც გასწირა, სწორედ იმან გადაარჩინა!..
ოჰ, როგორა ჰგავს ეს გამოცდა გამოცდასა ჩემი ერისას
ისე, რომ მოველთ დღევანდლამდე ერთხელ ნუგეშიც
რომ არ გვეღირსა!
მაინც რა იყო, რა ბედი და
რა განაჩენი ჩემი ერისა..
ისე რომ მოველთ დღევანდლამდე
ერთხელ ნუგეშიც რომ არ გვეღირსა
მაინც რა იყო. რა ბედი და
რა განაჩენი ჩემი ერისა.
ყველა ტირანი ამას ამბობდა
ხვალ ურია აღარ იქნება...
ზეგ ვიფიქროთ სხვა დანარჩენი...
მაინც რა იყო რა ბედი და
რა განაჩენი ჩემი ერისა
ყველა ტირანი
რომ
ისე წავიდა ჩვენი მოსპობა რომ ვერ ეღირსა!..
რწმენა ვარ - რწმენა ძალაა,
ჩემმა რწმენამ ბევრჯერ გამწირა...
რამაც გამწირა,
სწორედ იმან გამამარჩინა!..
ებრაელი
ვარ
აბრაამის რწმენით,
იაკობის მეტრძოლო სულით.
მოშე რაბინის ღვთიურ მოძღვრებით,
დიდი დავითის მხედრული ნიჭით,
სოლომონ დიდის ნათელი სიბრძნით
დამაქვს
თორა,
დამაქვს
თალმუდი...
ებრაელი
ვარ
თუ გსურს, ბედო,
კვლავ გამომცადე,
კვლავაც გამრუდდი!

מיכאל שפוטשוילי
אמונה
(חרוזים לבנים של לילה לבן)

אני יהודי,
בן
אברהם
יצחק,
משה
ודוד הגדול;
גופי רוטט,
אני גיבור,
אני מיתוס!
אמונה אני - אמונה היא כוח,
אדם נטול אמונה הוא אדם בלי קרוב ומודע,
לו רגע חולף הוא מרץ או אפריל,
פניו יגעות, אבלות ברפיון המדכדך.
דבקות אני - דבקות בדת,
היא בשרו ודמו של עמי.
לא תוכל הלשון לתאר
את הסבל שנשאתי!
הזמן - עריץ
כול יכול, הוא שליט
אך משולח רסן,
אף ערמומי, כזונה!
עת עם שחר
הביאני אבא אברהם למזבח לשחוט את גרוני
- אפילו אלוהים הגיר כנשה דמעות -
"המסירות היתה לסבל" הוכרח להודות.
הוא האמין באלוהים - באל האחד,
בורא השמים, הארץ והחיים.
ומה שהאמין בו, הוא שחרץ את גורלו,
הניעו לקבל עליו את המבחן הגדול הזה,
להביא את בנו יחידו למזבח, לשחוט את גרונו.
אך אפילו בחלומותיו
מעולם לא האשים את גורלו,
מעולם לא השמיע גהה!
הוא האמין באלוהים!
מה שהאמין בו, חרץ את גורלו,
אך מי שחרץ את גורלו -
גם גאל אותו!
הו, אלוהים, המבחן שבחנתני
היה כמבחני של עמי,
בלי תנחומים מאיש הגענו עד הנה,
אך היו אלה החיים, הגורל,
גור דינו של עמי,
להמשיך הלאה בלי תנחומים מאיש
עריצים שבו ואמרו:
יימחו נא כל היהודים מעל פני האדמה היום;
ועל השאר נחשוב נא מחר.
אך מה הייתה דרך חייו, מנת חלקו
גור גורלו של עמי?
שום עריץ לא חי די זמן לחזות
בעמי נמחה מעל פני האדמה.
אמונה אני - ואמונה היא כוח אדירים,
לא פעם חרצה אמונתי את גורלי,
אך מי שחרץ את גורלי
הוא שגאל אותי.
אני יהודי,
עם אמונת אברהם בלבי,
עם רוח הקרב של יעקב,
עם תורתו האלוהית של משה,
עם כישורי הלחמה של דוד,
ועם חוכמת שלמה אני נושא בקרבי
את התורה
אני נושא בקרבי
את התלמוד.
אני יהודי,
בוא, גורל, אם תרצה,
נסני
שוב ושוב,
אל תציע לי את תנחומיך!

עברית: אמיר אור

რას ვპირობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე



აკჰარონ ფელდმანი

შ
ა
პ
ე
რ

იაყაკოვის დონეზე, როდესაც ჰაშემის შეხინა არის მათ შორის და ამიტომაც არის, რომ შემოთის ნიგ-ნის ბოლო თავში - არის ლაპარაკი მიშკანის სამსახურზე, იმ პერიოდზე, როდესაც შეხინა ბრუნდება ისრაელეთან.

აქედან ჩვენ შეიძლება და უნდა ვისწავლოთ ჩვენი მდგომარეობა დღეს, ყველა ჩვენთაგანი უნდა გავხედოთ წმინდანები და ბრძენები, ჩვენ უნდა ვიყოთ წმინდა ერი, წინასწარმეტყველები, რომელთაც ელაპარაკება ჰაშემი, ისეთები, როგორც იყვნენ ჩვენი დიდი წინაპრები-ავრაჰამი, იცხაკი და იაყაკოვი და სანამ ეს ასე არ არის, სანამ ჩვენ ვართ დანვრირმანებული და ეგოისტები, სანამ ჩვენ გვაქვს ვნებები და მატერიალური მიდრეკილებები - ეს აჩვენებს იმას, რომ ჩვენდა სამწუხაროდ გალუთი გრძელდება და მაშინაც მობრძანებაზე ძალიან ბევრი უნდა ვილოცოთ და თითოეულმა პირველ რიგში უნდა ვიფიქროთ ჩვენი თავის გამოსწორებაზე და ვიყოთ თვითკრიტიკულები.

თორის თავი შემოთი - იწყება ასეთი -სიტყვებით-და აი სახელები ისრაელის შვილებისა, რომლებიც ჩამოვიდნენ ეგვიპტეში - ისმება კითხვა, რატომ თვლის კიდევ ერთხელ თორა მათ სახელებს, იაყაკოვ ავინუს შთამომავლობის მიცრაიმში ჩასვლა უკვე მოთხრობილი იყო კვირის თავში- "ვაიგამ"

აი რა პასუხს სცემს ამას ორ -ა - ხაიმ ა კადოში: მიუხედავად იმისა, რომ თორიდან ჩანს, თითქოს მიზეზი -არის შიმშილობა, იაყაკოვმა და მისმა ოჯახმა ძალიან კარგად იციან, რომ რომ მიცრაიმში მათი ყოფან არ იქნება მცირე დროით, ისინი მიდიან დიდი ხნით და მომავალში იქნება ძალიან მძიმე მონობა, ისინი მიდიან თავის ნებით, იმიტომ რომ მზად არიან დაემორჩილონ ჰაშემის გადაწყვეტილებას, რომელმაც ისინი გააგზავნა გალუთში-განდევნაში და ამითი ისინი განსხვავდებიან ყესავისგან, რომელის სპეციალურად

მიდის საცხოვრებლად ქენანიდან სეირის მთის მიდამოებში, რომ არ "გადაიხადოს ვალი" და რ იყოს ავრაჰამის, იცხაკის და იაყაკოვის შთამომავლებთან ერთად.

და ამიტომაც გასაგები ხდება, რატომ იაყაკოვ ავინუს არც ერთი შთამომავალი არ ცდილობს წავიდეს ეგვიპტედან შიმშილის დამთავრების შემდეგ და ცხოვრობენ იქ დიდი ხნის განმავლობაში.

ჩვენ თავში ასევე არის ასეთი ფასუჯი - არ მოუახლოვდე ამ ადგილს, და გაიხადე ფეხსაცმელი, რადგან მინა სადაც შენ დგახარ არის წმინდა"

ჰაშემი ეუბნება მოშე რაბეინუს - ორ რალაცას 1- არ მიუახლოვდე ბუჩქს, რომელიც ინვის და არ იწვება

2- იქ სადაც დგახარ, არ შეიძლება ასე დგომა და უნდა გაიხადო ფეხსაცმელი

რატომ არის ასეთი თანამიმდევრობა, თითქოს უფრო ლოგიკური იქნება, რომ ჰაშემმა უთხრას თავიდან გაიხადე ფეხსაცმელი

ორ -ა - ხაიმ ა კადოში ასე ხსნის - თორაში არის ასეთი პრინციპი - აკრძალვის დარღვევას - არ გაააკეთო, ჰაშემი სჯის უფრო მკაცრად, ვიდრე მიცვის არ შესრულებას - გააკეთე.

აკრძალვის დარღვევა აყენებს ზიანს ადამიანის ნეშამას, მიცვის არ შესრულება კი ადამიანს აკარგვინებს იმ სიკეთეს, რომელიც უნდა მიელო ამის შედეგად, არის მხოლოდ 2 გამონაკლისი - ფესახის შეწირვა და ნათლობა

ამიტომაც როდესაც ჰაშემი იწყებს ლაპარაკს მოშე რაბეინუსთან ის ჯერ ეუბნება აკრძალვას და მხოლოდ შემდეგ ბრძანებას.

ჰაშემმა ქნას რომ შეგვესრულებინოს ყველა მიცვები არ გააკეთოც და გააკეთეც, დაგვაბრუნოს თეშუბაზე, გაგვხადოს ერთიან ერად და დაგვიჩქაროს მაშინაცის მობრძანება

შაბათ შალომ

„არა მხოლოდ პური არსობისა“

ისრაელში გარდაიცვალა ღვანლმოსილი პიროვნება — ზურაბ (ზური) ბოთერაშვილი. ზური ბოთერაშვილი 70-იანი წლების დასაწყისში ავიდა ისრაელში და იმ დღიდან რეპატრიანტთა კულტურული ცხოვრების კეთილშობილურ საქმეს ემსახურება — წლების განმავლობაში გახლდათ გაზეთ „ალია საქართველოდან“-ის თანამშრომელი — მიჰყავდა სპორტული რუბრიკა, მაგრამ ზური ბოთერაშვილის დამსახურება მნიშვნელოვანია იმით რომ იგი ემსახურებოდა ისრაელში ქართული თეატრალური ცხოვრების განვითარებას — სხვადასხვა წლებში მუშაობდა თეატრებში, ბოლო ათწლეულებში კი აშშ-ში ჩამოაყალიბა სატირულ-იუმორისტული თეატრი, რომელიც პატივისცემით სარგებლობდა და სარგებლობს მაყურებელთა შორის. ზური იყო კეთილშობილი, მეგობრული ღირსებით გამორჩეული პიროვნება, რომლის ხსოვნა დიდხანს დარჩება მის მეგობარ-ამხანაგებს შორის. ზ. ბოთერაშვილის მოულოდნელ გარდაცვალებასთან დაკავშირებით განმეორებით ვბეჭდავთ ლ. კრიხელის ინტერვიუს მასთან, რომელიც გასული წლის მე-6 ნომერში გახლდათ მოთავსებული.

ლია კრიხელი: ახალი რეპატრიანტის პირველი შთაბეჭდილება? 40 წლის წინათ ახალამოსულთა შორის ურთიერთსაინანაღმდეგო განწყობა სუფევდა.

ზური ბოთერაშვილი: ვიდრე გამოვერკვეოდი და ყოფითი პრობლემების მოგვარებას შევეუდგებოდი, უწვევრულვამო ბიჭებთან ერთად, ჯარში გამინვიეს. ფიცის დადების ცერემონიაზე ერთ ხელში თანახი მეჭირა, მეორეში — იარაღი. ამ დროს გამიელვა თავში: სიტყვა პატრიოტი, არ არის ვინმეს მიერ გამოგონებული ტერმინი, ეს არის ღრმად დაგუბებული გრძნობა, მან უცებ ამოხეთქა და მე წარმოვთქვი — „ვფიცავ“. იმ წუთებში ვალი ჯარისკაცისა და ბედი მინა-წყლისა ყველა მიზნის სათავეშიმოექცა.

ლ.კ. როგორ შეხვდა ოჯახი მოვლენების ასეთ განვითარებას?

ზ.ბ. ცოლ-შვილთან კავშირის უქონლობა, ცალკე გადასალახი პრობლემა იყო და ის, რაც მანამდე სიძნელედ მიმაჩნდა, უკვე სასაცილოდ მეჩვენებოდა. მას მერე 14 წლის განმავლობაში, „ცაჰალის“ სათადარიგო ნაწილში ყოველ წელს ვმსახურობდი, როგორც მეთაური და სამხედრო ორდენითაც დამაჯილდოეს.

ლ.კ. სამხედრო სამსახურმა რა მოგცათ?

ზ.ბ. საკუთარი თავის რწმენა. როცა ეგვიპტის საზღვარზე ვგრძნობდი ჩემი მინის ყვილს, ვფიქრობდი: აქ ჩემი 7 წლის გიასა და 4 წლის ბენის მომავალს ვხედავ და მხოლოდ აქ! სინაის უდაბნოში თუ წუთს მოვიხელთებდი, მზის ჩასვლისა და უდაბნოს ჩანახატებს ვაკეთებდი, სადაც ეკალიც კი ყვავილივით მოსჩანს.



ოდითგანვე იყო ცნობილი: „არა მხოლოდ პური არსობისა“ აცოცხლებს ადამიანს, იგი ეძებდა და ეძიებს სულიერ საზრდოს და მათ შორის სანახაობასაც. მსახიობობა, რეჟისორობა და სცენა მრავალი მოზარდის ოცნებაა და თუ მან ეს ნაღილი ნაწილობრივ მაინც აისრულა, ჩათვალეთ, რომ გაუმართლდა. სწორედ ამის თაობაზე მეწადა საუბარი იმ ადამიანთან, რომელმაც ამ სფეროში არა თუ ბედი სცადა, ცხოვრების მთავარ მიზნად გაიხადა და სერიოზულად დაიმკვიდრა თავი. საუბარია ისრაელის ქართველ ებრაელობაში საკმაოდ ცნობილ პიროვნებაზე, ბატონ ზური ბოთერაშვილზე.

მაისის ერთ მშვენიერ საღამოს, ბათ-იამის სანაპიროზე მზის ჩასვლის ცქერისას მე და ბატონი ზური ნელ-ნელა მივუახლოვდით ერთ მყუდრო კაფეს. კარგად მოვკალათდით და საუბარი ისე უშუალოდ წარიმართა, როგორც მოსალოდნელი იყო. მინდოდა ინტერვიუ ბიოგრაფიული ცნობებითარ ყოფილიყო შემოფარგლული და პირველი შეკითხვა თავისთავად ამოტყვივდა.

ლ.კ. ყოველდღიური ცხოვრება როგორ წარიმართა?

ზ.ბ. ორი უმაღლესი განათლების (ეკონომიური და ისტორიის ფაკულტეტები) მიუხედავად, რამათ განის მოსამზადებელი კურსი გავიარე „აკადემიამითათვის“. შემდეგ 15 წლის განმავლობაში. ფინანსთა სამინისტროს უძრავი ქონების სახელმწიფო შემფასებელის თანამდებობაზე გახლდით.

ლ.კ. მაგრამ ჩვენი თემი სულ სხვა სფეროში გიცნობთ, როგორც მსახიობსა და რეჟისორს.

ზ.ბ. დიახ, ხელოვნების ქემმარიტმა მოტრფიალემ, სიამოვნებით დავინყე მუშაობა გაზეთში: „ალია საქართველოდან“. ორი რუბრიკა მიმყავდა, ხელოვნება და სპორტი. ინტერვიუები ადგილობრივ და საქართველოდან ამოსულ სპორტსმენებთან, აგრეთვე ხელოვნების მუშაკებთან დიდი მონონებით სარგებლობდა ქართველ ებრაელებში. საკუთარ ნაწარმოებებსაც ვაქვეყნებდი.

ლ.კ. ესე იგი, მწერლობაც სცადეთ? რამდენი ნაწარმოების ავტორი ბრძანდებით?

ზ.ბ. ორმოცი მოთხრობა და ერთი რომანი დავწერე. ეს ჩემი სულიერი მოთხოვნილება იყო. ჩემთვის საჭირობოროტო საკითხებზე ნაწარმოების გმირებს ვალაპარაკებდი. იმ პერიოდში ანგანსვენებულ ბატ. იცხაკ ათანელოვს გაუჩნდა იდეა ქართული საკონცერტო პროგრამისა და მე თეტრალური გუნდისთვის უნდა მეხელმძღვანელა. ქართული ქორეოგრაფია გურამ მიხელაშვილს მიანდეს. მიხეილ ნანიკაშვილი, სიმონ ჯანაშვილი, და ვოკალური ანსამბლი „კოლანი“ გაერთიანდნენ

(დასასრული მე-8 გვერდზე)

მარჯანიშვილის თეატრის წარმატება ისრაელში



19 და 20 დეკემბერს თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრმა თელ-ავივში საყოველთაოდ აღიარებული „თეატრონ კამერის“ სცენაზე ორი სპექტაკლი წარმოადგინა. თეატრი მინვესტი გახლდათ მეცხრე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. მარჯანიშვილებმა ისრაელელ მაყურებელს წარმოუდგინეს ლევან ნულაძის მიერ განხორციელებული მეტად ორიგინალური სპექტაკლი „Begalut — უცხოობაში“, რომელიც შექმნილია ებრაული ლიტერატურის კლასიკოსის — შოლომ ალეიხემისა და თანამედროვე მწერლის გურამ ბათიაშვილის ნაწარმოებების მიხედვით.

ისრაელელმა მაყურებელმა სპექტაკლისადმი დიდი იმპრესია გამოავლინა — ეს ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ ეს თეატრი ორჯერ გახლდათ მინვესტი აქ გამართულ თეატრალურ, თუ ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე: ა. ჩეხოვის „ქალი ძაღლი“ და უ. შექსპირის „როგორც გენებოთ“. ამჯერად კი თეატრი ებრაული თემატიკით წარსდგა მაყურებლის წინაშე და ჩვეული წარმატებაც მოიპოვა. როგორც პირველ, ასევე მეორე სპექტაკლზე თელ-ავივში სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული ქართველი ებრაელობაც გახლდათ წარმოდგენილი და ისინი სხვა მაყურებელთან ერთად გულითადად უკრავდნენ ტაძს ქართველ მსახიობებს. ხოლო ერთ-ერთმა თეატრალმა განაცხადა: „ამ თეატრის მეორე სპექტაკლის ნახვის ბედნიერება მხვდა წილად და

ვრწმუნდები: მარჯანიშვილის თეატრი დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თეატრია“. მეორე სპექტაკლის შემდეგ გაიმართა მაყურებლის შეხვედრა სპექტაკლის შემქმნელ კოლექტივთან. გ. ბათიაშვილი, ბ. დვალისხილი, მ. კოზაკოვა, ნ. კუჭავა, ნ. კახიძე, სხვები დიდხანს პასუხობდნენ მაყურებლის შეკითხვებს.

სპექტაკლების წინა დღეს — 18 დეკემბერს, თელ-ავივის კულტურის ცენტრში „ბაბელი“ გაიმართა გურამ ბათიაშვილის მოსკოვში, რუსულ ენაზე გამოცემული რომანის „ერთი, მხოლოდ ერთი!“-ს პრეზენტაცია. მწერალმა ისაუბრა ქართველ ებრაელობაზე, ქართველთა და ებრაელთა ტრადიციულ ურთიერთობაზე, ქართული თეატრის ჰუმანიტარული ხასიათზე და უპასუხა მკითხველთა მრავალ შეკითხვას.

იცკა ათანელოვის ირგვლივ. ყველამ გაითავისა პასუხისმგებლობა დაგეგმილი კონცერტისა, რამეთუ ქვეყნის მთავარი სცენა, „ჰეიხალ შათარბუთ“ (კულტურის სასახლე) გემასპინძლობდა. ჩემი პიესა „აბრამის ბედნიერება ისრაელში“ პირველად დაიდგა. მთავარ როლებში ავტორიონ შალელაშვილი და მე გახლდით. კონცერტის საპატიო სტუმარმა, პრეზიდენტმა იცხაკ ნავონმა სპექტაკლის მოწონებისა და პატივისცემის ნიშნად თავის რეზიდენციაში მიგვიწვია და აღნიშნა, რომ სპექტაკლში ბევრი რეალური მომენტი შეიცნო.

ლ.კ. ამან ალბათ, მძლავრი ბიძგი მოგცათ?

ზ.ბ. ჭეშმარიტად. გამიძლიერდა მოტივაცია თეატრი დამეარსებინა. თავად რაფი გინათის (ჯანაშვილი) დადგმაში ქართველი ადამიანი განვსახიერე, რის შემდეგაც ოთხ მოკლემეტრეაჟიან ფილმში მიმინვიეს, აგრეთვე ვითამაშე დობერ ქოსაშვილის ფილმში „დაგვიანებული ქორწინება“. და აი, ჩამოვყალიბე თელ-ავივის სატირულ- იუმორისტული თეატრი, სადაც დავით ხუბელაშვილი სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ.

ლ.კ. მანამდე ხომ მინიატურების თეატრი იყო? მე უბრალოდ, ჟურნალ-გაზეთებიდან ვიცი, რადგანაც 90-იანი წლების მინურულს ამოვედი.

ზ.ბ. დიას. მან სამი წელი იარსება, მაგრამ თავისი მისია მაინც შეასრულა.

ლ.კ. ცნობილია, რომ პროფესიონალი მსახიობების ნაკლებობა იყო. არ გიჭირდათ სცენის მოყვარულებთან მუშაობა? ან რეპეტიციებს სადატარებდით?

ზ.ბ. წარმოდგენაც კი გაგიჭირდებათ — ჩემთან სახლში, ან სამსახურში. საკონცერტო პროგრამების ჩარჩოებში ჩასმაც არ იყო იოლი. მაყურებლის სამსჯავროზე გავიტანეთ შალომ ალეიხემის პიესა „ძნელია იყო ებრაელი“, ჩეხოვის „დათვი“, გურამ ბათიაშვილის „ვალი“, გერცელ ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“ და იეჟუა შალელაშვილის „ტყვეები“. ყოველივე ეს კი თვითდაფისებით ხორციელდებოდა, მაგრამ არად დაგიდევდით, მიზანი, რომ ნოსტალგია გაგვექარებინა ჩვენებურებისთვის, მიღწეული იყო. ცხრა წლის განმავლობაში ასი სალამო-კონცერტი გაემართეთ.

ლ.კ. ამდოდის ქართულ თეატრზე რას იტყვი?

ზ.ბ. დღეისათვის „ქნარი“ ერთადერთია ქართული თეატრის ისრაელში, რომელიც ნანა შაბათაშვილმა დააასრა და თავადვეა მისი ლიტერატურული ნაწილის ხელმძღვანელი. ნანას ენთუზიაზმი და

შემართება ამ თეატრის მთავარი საყრდენი. ბატონ მიხეილ თეთროქალაშვილს ჩვენს თემში იცნობენ, როგორც ნეაპოლიტანური სიმღერების შემსრულებელს. სწორედ ნანამ დააინტერესა იგი ეთანამშრომლა თეატრში. აქ დაიდგა 40 პიესა და გასტროლებით შემოიარა მთელი ისრაელი. აღსანიშნავია, რომ გიგათაიმის თეატრალურ ფესტივალზე ჩვენმა სპექტაკლმა „მოგზაურობა ეგვიპტეში“ პირველი ადგილი მოიპოვა (დადგმა ივრითზე მიმდინარეობდა). ნანას თაოსნობით ჩატარდა საღამოები, რომლებიც მიმდევნა მიხეილ შაფთოშვილს, ნაზი ნანიკაშვილსა და სხვა. სულო სეფიაშვილთან ერთად დავდგით მინის-სპექტაკლი „სულის სარკმელები“ რაია ნინუაშვილის ნიგნის მიხედვით.

ლ.კ. ისრაელ მსახიობებთან თუ თანამშრომლობდით?

ზ.ბ. ყალბი მოკრძალების გარეშე ვიტყვი, რომ ვთამაშობდი და საკმაოდ წარმატებულადაც ისეთ მსახიობებთან, როგორცაა: დუბი გალი, დუდუ ტოპაზი და სხვა. ვითამაშე ცნობილ ფილმში „კალათების მეფე“.

ლ.კ. რამდენად სიცოცხლისუნარიანია ქართულენოვანი თეატრი ისრაელში?

ზ.ბ. ჩვენ გვიხარია, რომ ჩვენი შვილები მთლიანად შერწყმულნი აირიან ისრაელის საზოგადოებასა და მის კულტურულ ცხოვრებას, მაგრამ ერთ დროს ქართულ სცენას მასულდგმულბელი ძალა გააჩნდა ქართული თემისთვის. მის მუშაობაში გარკვეული წვლილისათვის მინდა მადლიერების გრძნობით მოვიხსენო ბატ. იცხაკ დავიდი, რუბენ ენოხი, შაბთაი ცური, მოშე ბოთერაშვილი, აბრამ საპირი. ანგანსვენებულ ლევან ნამვალაშვილი, იაკობ ჩიკვაშვილი, მირიამ ბათ-მოშე, იოსებ კრიხელი.

ლ.კ. ბატონო ზური, რა თემაზე არ გიყვართ საუბარი?

ზ.ბ. როცა მეკითხებიან, რა მამოძრავებდა ჩემს საქმიანობაში, თუ კი მატერიალური დაინტერესება არ იყო, მიჭირს ახსნა თუ როგორ თვითკმაყოფილებას მგვრიდა ყოველივე და ამიტომ არ მიყვარს ეს თემა.

ლ.კ. ძნელბედობის უამს, ანუ საომარი ოპერაციების დროს საზღვარგარეთ მცხოვრები ახმსვენებლად. მაესტრო ზუბინ მეთას წინა ხაზზეც კი ჩაუტარებია კონცერტები. როგორი იყო თქვენი დამოკიდებულება?

ზ.ბ. ჩვენ კი ზურგში ვახალისებდით ხალხს, ყო-



მალხაზ ბათიაშვილი, ნანა, გია დავარაშვილები დიდ გულისტკივილით იუნყებიან ძვირფასი

ნორა სავიაშვილი-მიხელაშვილის

გარდაცვალებას ისრაელში და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის მეუღლეს — ბესო მიხელაშვილს, შვილს — რომან მიხელაშვილს, შვილიშვილებს.

ნათელა, ილო ნინუაშვილები, ციალა, გურამ ბათიაშვილები, ლეილა, თემურ გაგულაშვილები, ლანა, გურამ ხარაზიშვილები ღრმა მწუხარებით იუნყებიან

ნორა სავიაშვილი-მიხელაშვილის

გარდაცვალებას ისრაელში და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის მეუღლეს — ბესო მიხელაშვილს, შვილს — რომან მიხელაშვილს, შვილიშვილებს.

ფას ვუადვილებდით თავშესაფარებში ჩატარებული გამოსვლებით. დაღონებულ თვალებში იმედის ნაპერწკლის დანახვა იყო ჩვენთვის უდიდესი ჯილდო.

ლ.კ. როდის გიფიქრიათ: ამისთვის ღირდა ცხოვრება.

ზ.ბ. როცა ჩემს შვილებს ვხედავ. გია წარმატებული ეკონომისტი, ბენი — ორთოპედი გახლავთ და ორთოპედიის სახელმძღვანელოს თანაავტორი. მათი აღზრდა — განათლება და მიღწევები მთლიანად ჩემი ანგანსვენებული მეუღლის, ტატული ჩლაქიშვილის დამსახურებაა. მისი ნასვლის შემდეგ, სიცარიელე ნანა შაბათაშვილთან დაახლოებამ შემეძვსო, რისთვისაც უზომოდ მადლიერი ვარ.

ლ.კ. შეცდომა რომელიც ჩაიდინეთ?

ზ.ბ. „შაბიმა“ ს თეატრიდან წამოსვლა.

ლ.კ. რომელ წლებში მუშაობდით „შაბიმაში“ და რომელი როლები შეასრულეთ?

ზ.ბ. როლები ეპიზოდური გახლდათ. ახალბედა, დამწყები მსახიობი ვიყავი და სხვა რამ არც იყო მოსალოდნელი. როგორც ვითხარით, არ მეყო მოთმინება ჩემს ბედს დავლოდებოდი.

ლ.კ. როგორი ვინდით, რომ დაგიმასხოვრონ?

ზ.ბ. „კაცი, რომელმაც ერთხელ მაინც გააცინა ქართველი ებრაელები“ ასეთი წარწერა მინდა საფლავის ქვაზე.

ლ.კ. როგორც ყოველთვის, აქაც თქვენი იუმორის გრძნობა მყლავნდება. დიდი მადლობა საუბრისთვის.

ზ.ბ. გამადლობთ.

ლია კრიხელი

დაგუშენებლნი და რეპონსტრირაშვილი რედაქტორი
 გამომცემელი: ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოში მისი. გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
 თბილისი, ლეონიძის 11^ბ, რედაქტორი
 ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57 რედაქტორი
 გურამ ბათიაშვილი
 ISSN 1987-8982 UAC 070 411.16
 8-557
 9771987898003